

გარემოს დაცვის ტექნიკოსი 041351
პროფესიული სტანდარტი

I. სფეროს აღწერა

გარემოს დაცვის ტექნიკოსის საქმიანობა წარმოადგენს გარემოს დაცვის სფეროს მომსახურებათა მნიშვნელოვან ქვესისტემას და მოიცავს:

- გარემოში მიმდინარე პროცესების, გარდაქმნების და გარემოსდაცვითი პრობლემების გაცნობას;
- გარემოს ობიექტების არსებული მდგომარეობის შესწავლას;
- გარემოს ობიექტების ეკოლოგიური კონტროლის შედეგების მიხედვით პრობლემის გადაჭრის გზების შემუშავებაში მონაწილეობას;
- გარემოს დაბინძურებისაგან დაცვის მეთოდების და შესაბამისი აპარატურის შესწავლას და გამოყენებას.

II. დასაქმების სფერო

მოცემული სტანდარტის მიხედვით გარემოს დაცვის ტექნიკოსი არის ეკოლოგიური მონიტორინგის და გარემოს დაცვის სფეროში მომუშავე სპეციალისტების დამხმარე პერსონალი, რომელიც შეძლებს სათანადო რეაქტივების აპარატურის, მომზადებას, მონაწილეობის მიღებას გარემოს დამაბინძურებელი კომპონენტების განსაზღვრის მეთოდების შესრულებაში. ამასთან, იგი შეიძლება იყოს ნებისმიერ წარმოებაში არსებული გამწმენდი მოწყობილობების მომსახურე პერსონალი.

III. დამატებითი მოთხოვნები

პრაქტიკის მასწავლებელს უნდა ჰქონდეს პროფესიით მუშაობის არანაკლებ 3 წლის გამოცდილება.

- მესამე საფეხურის პროგრამაზე დაშვების წინაპირობაა საბაზო განათლება;
- მეოთხე საფეხურის პროგრამაზე დაშვების წინაპირობაა მესამე საფეხურის კვალიფიკაციის ქონა;
- მეხუთე საფეხურის პროგრამაზე დაშვების წინაპირობაა მეოთხე საფეხურის კვალიფიკაციის ქონა.

IV. საგანმანათლებლო პროგრამა და კვალიფიკაცია

გარემოს დაცვის ტექნიკოსის პროფესიული პროგრამა არის სამსაფეხურიანი და თითოეულ საფეხურზე შემუშავებულია შესაბამისი პროფესიული პროგრამა, რომლის დასრულების შემდეგ სტუდენტს ენიჭება შესაბამისი საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია და გაცემა დიპლომი.

გარემოს დაცვის ტექნიკოსის მესამე საფეხურის პროფესიული პროგრამა მოიცავს მინიმუმ 30 კრედიტს, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული საერთო დატვირთვა მოიცავს თეორიის და პრაქტიკის კომპონენტს. პრაქტიკის კომპონენტი არის საერთო დატვირთვის არანაკლებ 50%.

ენიჭება გარემოს დაცვის ტექნიკოსის მესამე საფეხურის (თანაშემწე) პროფესიული კვალიფიკაცია.

გარემოს დაცვის ტექნიკოსის მეოთხე საფეხურის პროფესიული პროგრამა მოიცავს მინიმუმ 50 კრედიტს, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული საერთო დატვირთვა მოიცავს თეორიის და პრაქტიკის კომპონენტს. პრაქტიკის კომპონენტი არის საერთო დატვირთვის არანაკლებ 40%.

ენიჭება გარემოს დაცვის ტექნიკოსის მეოთხე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია.

გარემოს დაცვის ტექნიკოსის მეხუთე საფეხურის პროფესიული პროგრამა მოიცავს მინიმუმ 60 კრედიტს, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული საერთო დატვირთვა მოიცავს თეორიის და პრაქტიკის კომპონენტს. პრაქტიკის კომპონენტი არის საერთო დატვირთვის არანაკლებ 40%.

ენიჭება გარემოს დაცვის ტექნიკოსის მეხუთე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია.

გარემოს დაცვის ტექნიკოსის მესამე საფეხურის კვალიფიკაციის აღმწერი

ცოდნა და გაცნობიერება	აქვს სფეროსათვის დამახასიათებელი ძირითადი ფაქტების, პრინციპების, პროცესებისა და ზოგადი კონცეფციების ცოდნა, აცნობიერებს გართულებული ამოცანების შესასრულებლად აუცილებელ ნაბიჯებს;	აქვს გარემოს ობიექტების არსებული ეკოლოგიურ-ქიმიური მდგომარეობის და მათი სისუფთავის ხარისხის შემაფასებელი კრიტერიუმების ცოდნა.
ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი	შეუძლია გამოიყენოს სფეროს სპეციფიკისათვის დამახასიათებელი უნარების ფართო სპექტრი, შეაფასოს დავალებების შესასრულებლად სხვადასხვა მიდგომა, შეარჩიოს და მიუსადაგოს სათანადო მეთოდები, ინსტრუმენტები და მასალები.	შეუძლია გარემოს ობიექტების სისუფთავის შეფასების კრიტერიუმების დასადგენად ზღვრულად დასაშვები კონცენტრაციების, ზღვრულად დასაშვები გამონაბოლქვებისა და ჩანადენების განსაზღვრის მეთოდებისა და საშუალებების გამოყენება.
დასკვნის უნარი	შეუძლია განსხვავებულ სიტუაციებში წამოქმნილი პრობლემების გადასაჭრელად ინფორმაციის ცნობილი წყაროებით სარგებლობა, მათი შეფასება და ანალიზი.	შეუძლია გარემოს ობიექტების სისუფთავის, ჰიდროსფეროს, ატმოსფერული ჰაერისა და ნიადაგის დასაცავად დადგენილი ნორმატივებით გაანალიზება.
კომუნიკაციის უნარი	შეუძლია ზეპირი და წერილობითი კომუნიკაცია პროფესიასთან დაკავშირებულ საკითხებზე განსხვავებულ სიტუაციებში, ეფექტიანად იყენებს პროფესიულ საქმიანობასთან დაკავშირებულ საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიებს, შეუძლია უცხო ენის პრაქტიკული გამოყენება.	შეუძლია გარემოს ობიექტების შემადგენელი კომპონენტების კონცენტრაციებისა და მისი ცვლილებების შესახებ საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების გამოყენება.
სწავლის უნარი	შეუძლია წინასწარ განსაზღვრული ამოცანების ფარგლებში საკუთარ სწავლაზე პასუხისმგებლობის აღება.	შესწევს უნარი დამოუკიდებლად მოიპოვოს და გაეცნოს გარემოს ობიექტების მდგომარეობის შემაფასებელი საერთაშორისო და სახელმწიფო სტანდარტების შესახებ ინფორმაციას.
ღირებულებები	განსხვავებულ სიტუაციებში მოქმედებს პროფესიული საქმიანობისათვის დამახასიათებელი ღირებულებების შესაბამისად.	განსხვავებულ სიტუაციებში ჰიდროსფეროს, ატმოსფერული ჰაერისა და ნიადაგის დაცვისა და სისუფთავის უსაფრთხოებისათვის გაითვალისწინოს და იმოქმედოს არსებული ნორმატივების ღირებულებების შესაბამისად.

გარემოს დაცვის ტექნიკოსის მეოთხე საფეხურის კვალიფიკაციის აღწერი

ცოდნა და გაცნობიერება	აქვს სფეროს ფაქტობრივ გარემოებებსა და თეორიულ საფუძვლებზე დამყარებული ცოდნა, აცნობიერებს პრობლემების გადაჭრის ზოგად შესაძლებლობებს.	ადგენს გარემოს ობიექტების დამაბინძურებელი მავნე ნივთიერებათა ზემოქმედებას, ეკოლოგიურ-ეკონომიკურ და სამართლებრივ ასპექტებს, ეკოლოგიური კონტროლის შესახებ მიღებული ცოდნის საფუძველზე აცნობიერებს პრობლემის გადაჭრის ზოგად შესაძლებლობებს.
ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი	შეუძლია, სამუშაოს დაგეგმვისა და შესრულების პროცესში გამოიყენოს სანდო ინფორმაციის წყაროები, შეიმუშაოს სტრატეგია წამოჭრილი სპეციფიკური ამოცანის დასაძლევად და შეაფასოს მიღებული შედეგები შესრულებული სამუშაოს გაუმჯობესების მიზნით.	შეუძლია გარემოს მართვისა და ეკოლოგიურ-ეკონომიკური დაგეგმვისა და შესრულების პროცესში გამოიყენოს საჭირო ინფორმაციის წყაროები, განსაზღვროს სანიტარულ-დამცავი ზონის საზღვრები და გარემოს დაბინძურებით გამოწვეული ეკოლოგიურ-ეკონომიკური ზარალი.
დასკვნის უნარი	შეუძლია სპეციფიკური პრობლემების გადასაწყვეტად შესაბამისი მიდგომის შემუშავება, ალტერნატიული შესაძლებლობების განხილვა და მიღებული შედეგის ანალიზი.	შესწევს უნარი ეკოლოგიური ექსპერტიზის საფუძველზე შეაფასოს მავნე ნივთიერებათა გაფრქვევის სიმძლავრეები, ზღვრულად დასაშვები ჩანადენები და განიხილოს ალტერნატიული შესაძლებლობები.
კომუნიკაციის უნარი	შეუძლია ზეპირი და წერილობითი კომუნიკაცია პროფესიასთან დაკავშირებულ საკითხებზე ცვალებად სიტუაციებში, ახალი საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების დამოუკიდებლად ათვისება, უცხოურ ენაზე მიღებული პროფესიასთან დაკავშირებული ინფორმაციის დამუშავება.	შეუძლია ორგანიზმზე ტოქსიკანტების ზემოქმედების, სამრეწველო ნარჩენების კლასიფიკაციისა და ეკოლოგიური მონიტორინგის ჩასატარებლად დამოუკიდებლად ათვისოს ახალი საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიები, მათ შორის უცხოურ ენაზე.
სწავლის უნარი	შეუძლია საკუთარი სწავლის მიმართულებების დამოუკიდებლად განსაზღვრა განჭვრეტად, თუმცა ნაწილობრივ ცვალებად ვითარებაში.	ცხოველმყოფელი პროცესების შეცვლის გზით დამოუკიდებლად განსაზღვროს ცოცხალი ორგანიზმების საარსებო პირობების ცვლილება.
ღირებულებები	პასუხისმგებლობით ეკიდება პროფესიული საქმიანობისათვის დამახასიათებელ ღირებულებებს და ცვალებად სიტუაციებში მოქმედებს მათ შესაბამისად.	ცვალებად სიტუაციებში ეკოლოგიური მონიტორინგის ჩასატარებლად პასუხისმგებლობით ეკიდება გარემოს დაცვის სამართლებრივ ასპექტებს, ეკოლოგიური მენეჯმენტის ღირებულებებს და მოქმედებს მათ შესაბამისად.

გარემოს დაცვის ტექნიკოსის მეხუთე საფეხურის კვალიფიკაციის აღმწერი

ცოდნა და გაცნობიერება	აქვს პროფესიულ საქმიანობასთან დაკავშირებული მრავალმხრივი და/ან სპეციალიზებული თეორიული და პრაქტიკული ცოდნა, აცნობიერებს პროფესიული საქმიანობის შესაძლებლობებს (საზღვრებს).	აქვს სამრეწველო აეროზოლებისა და ჩამდინარე წყლების დამაბინძურებელი ნივთიერებებისაგან გაწმენდის მეთოდებისა და აპარატურის თეორიული და პრაქტიკული ცოდნა, აცნობიერებს მისი სრულყოფის შესაძლებლობებს.
ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი	შეუძლია შემეცნებითი და პრაქტიკული უნარების ფართო სპექტრის გამოყენება აბსტრაქტული პრობლემების შემოქმედებითად გადასაწყვეტად.	გააჩნია მრეწველობის სხვადასხვა დარგის სამრეწველო აეროზოლებისა და ჩამდინარე წყლების გამწმენდი მოწყობილობების პრაქტიკული გამოყენების უნარი.
დასკვნის უნარი	შეუძლია კარგად განსაზღვრული პრობლემების ამოცნობა, მათი გადაჭრისათვის სათანადო მონაცემების იდენტიფიცირება და ანალიზი სტანდარტული მეთოდების გამოყენებით, ასევე დასაბუთებული დასკვნების გაკეთება.	შეუძლია უნარჩენო ტექნოლოგიის დანეგვის პრობლემებთან დაკავშირებული ამოცანების გადაჭრისათვის მექანიკური, ფიზიკურ-ქიმიური მეთოდების გამოყენებით სათანადო მონაცემების იდენტიფიცირება და ანალიზი.
კომუნიკაციის უნარი	შეუძლია იდეებისა და ინფორმაციის სტრუქტურირებულად და თანმიმდევრულად გადაცემა სპეციალისტებისა და არასპეციალისტებისათვის ხარისხობრივი და რაოდენობრივი ინფორმაციის გამოყენებით. იყენებს თანამედროვე საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიებს. შეუძლია უცხოურ ენაზე პროფესიასთან დაკავშირებული ინფორმაციის გადაცემა და ანგარიშის წარდგენა.	იყენებს უნარჩენო ტექნოლოგიების, ალტერნატიული ენერგეტიკული წყაროების როლის შესახებ თანამედროვე საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიებს, მათ შორის უცხოურ ენაზე.

სწავლის უნარი	შეუძლია საკუთარი სწავლის მიმართულებების განსაზღვრა ცვალებად და გაუთვალისწინებელ ვითარებაში.	შეუძლია წარმოებაში უნარჩენო ტექნოლოგიის შესაქმნელად, სამრეწველო ობიექტების ინვენტარიზაციისათვის შესაბამისი ცოდნის მიმართულებების განსაზღვრა ცვალებად და გაუთვალისწინებელ ვითარებაში.
ღირებულებები	აფასებს თავისი და სხვების დამოკიდებულებას პროფესიული საქმიანობისათვის დამახასიათებელ ღირებულებებთან და უზიარებს სხვებს.	გათავისებული აქვს სამრეწველო აეროზოლებისა და ჩამდინარე წყლების საზომ ხელსაწყოებსა და დამაბინძურებელ ნივთიერებებისაგან გასაუვნებელმყოფელ მოწყობილობებთან, ტექნიკასთან მუშაობის მნიშვნელობა, უსაფრთხოების ნორმების მნიშვნელობა.